საქართველოს შეფასების ასოციაცია
GEORGIAN EVALUATION ASSOCIATION

GEA NEWS

კვარტალური გამოცემა შეფასების შესახებ
შემოდგომა 2008

ასოციაციის მიზნები

- შეფასების,როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელი დარგის შექმნა და განვითარება;
- შემფასებელთა კვალიფიციური კადრების აღზრდისა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- შეფასების სტანდარტების დანერგვა;
- შემფასებელთა ქცევის კოდექსის შექმნა;
- შეფასების სფეროს მიმართ საზოგადოებრივი
- ცნობიერების ამაღლება.

ახალი პროექტის პრეზენტაცია

2008 წლის 11 დეკემბერს, სასტუმრო „თბილისი მერიოტის“ თამარ მეფის დარბაზში გაიმართა საქართველოს შეფასების ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტის – „შეფასების, როგორც მართვის ინსრუმენტის გამოყენების შესაძლებლობები და არსებული ვითარება საქართველოში“ – პრეზენტაცია. პროექტს ფინანსური მრახრდაჭერა გაუწია დიდი ბრიტანეთის განვითარების სააგენტომ.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტვყით მიმართა საქართველოს შეფასების ასოციაციის პრეზიდენტმა ნინო სააკაშვილმა, თავის გამოსვლაში, მან აღნიშნა, რომ საქართველოს შეფასების ასოციაციის მიზანია ჩვენს ქვენაში შეფასების დარგის შექმნა და განვითარება, შემფასებელთა კვალიფიციური კადრების აღზრდისა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, შეფასების სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, შემფასებელთა ქცევის კოდექსის შექმნა, შეფასების ინსტიტუციური სისტემის შექმნა და დარგის მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს შეფასების ასოციაციამ თავისი სამოქმედო გეგმის პირველი რიგის ამოცანად დასახა ქვეყანაში შეფასების სფეროში არსებული სიტუაციის გაანალიზება, რისთვისაც ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში კვლევა ჩაატარა. პროექტის მიზანი იყო არსებული ვითარების კვლევა შეფასების სფეროში. კერძოდ კი, პროექტის, პროგრამის, სტრატეგიის, პოლიტიკის ან ორგანიზაციის საქმიანობის შეფასებაში. შეიკრიბა ინფორმაცია დასრულებულ ან მიმდინარე პროექტებში, პროგრამებსა და რეფორმებში შეფასების კომპონენტის და მისი განხორციელების მექანიზმების შესახებ, გამოკითხვა ჩატარდა ქალაქ თბილისში 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, კვლევისთვის სპეციალურად შემუშავებული კითხვარით. შერჩე-

ვის პროცესში გამოყენებული იყო ჩვენს ასოციაციასა და ფონდ „ჰორიზონტში“ არსებული საქართველოში მოქმედი სახელმწიფო, არასამთავრობო, სამეწარმეო და საერთაშორისო ორგანიზაციების სია, აგრეთვე საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც სხვადასხვა სფეროში მომუშავე ორგანიზაციების, ინტერნეტ და ბეჭდვით გამოცემათა ცნობარების მეშვეობით იყო დაზუსტებული (დაახლოებით სამასი ორგანიზაცია). ამ ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ მონაცემები „საქართველოს შეფასების ასოციაციის“ თანამშრომლების მიერ გადამოწმდა სატელეფონო გასაუბრებისა და ინტერნეტ მიმოწერის მეშვეობით. ზემოხსენებული ინსტიტუციებიდან შეირჩა დაახლოებით 150 ძლიერი ორგანიზაცია, რომელთაც:

- გააჩნდათ ორგანიზაციის, პროგრამებისა თუ პროექტების მართვის გამოცდილება და ჰქონდათ გააზრებული შეფასების საჭიროება;
- გააჩნდათ ორგანიზაციის, პროგრამებისა თუ პროექტების შეფასების გამოცდილება;
- ფლობდნენ ადამიანურ რესურსს, რომელსაც შეფასების ჩატარების ცოდნა და უნარი აქვს;
- აცნობიერებენ შეფასების აქტუალობას მათი ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისთვის;

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე შერჩევა იყო მიზნობრივი და შერჩევითი ერთობლიობა შედგებოდა იმ ორგანიზაციებისაგან, რომელთაც გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიეღოთ ამ გამოკითხვაში.

კვლევისთვის სპეციალური კითხვარი მოამზადა, კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაამუშავა, გაანალიზა და საბოლოო ანგარიში მოამზადა ბატონმა ვაჟა ნადარეიშვილმა, რისთვისაც მას „საქართველოს შეფასების ასოციაციის“ სახელით ნინო სააკაშვილმა დიდ მადლობა გადაუხადა და გადსცა სიტყვა.

ბატონმა ვაჟა ნადარეიშვილმა ისაუბრა კვლევის მიმდინარეობისა და დამდგარი შედეგების შესახებ: „ჩვენ გამოვკითხეთ რესპონდენტები, რომლებიც წინასწარი მონაცემებით კომპეტენტურები უნდა ყოფილიყვნენ შეფასების საკითხებში. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ მათ მიერ შეფასების, როგორც მართვის ინსტრუმენტის, აღქმა ძალიან მაღალია. თუმცა, მათივე აზრით, ქვეყანაში კარგად არ ესმით შეფასების მნიშვნელობა. შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით, შეფასებაზე მოთხოვნა მცირეა, თუმცა, რესპონდენტთა აზრით, მომავალში მოსალოდნელია ამ მოთხოვნის გაზრდა. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ საქართველოს აღებული აქვს კურსი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ. ამჟამად ქვეყანა უკვე მჭიდროდ თანამშრომლობს დასავლეთის მოწინავე ქვეყნებთან და მნიშვნელოვან დახმარებებს იღებს მათგან ინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად. ეს დახმარებები, როგორც წესი, კონკრეტული პროექტების ან პროგრამების სახით ხორციელდება და ხშირ შემთხვევაში ინსტიტუციურ განვითარებას ემსახურება. ამგვარი დაფინანსების გამოყოფის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იმის შეფასებაა, თუ რაზე იხარჯება თანხები და რა შედეგები იქნება მიღწეული. შესაბამისად, ის პროგრესი, რომელიც საქართველოშია მიღწეული შეფასების სფეროში, მეტწილად ამგვარი საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგია. მოსალოდნელია, რომ საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაცია ახლო მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება. გაგრძელდება ევროკავშირთან დაახლოება და ამ პრო-

ცესის კვალდაკვალ იქნება კიდევ უფრო მეტი უცხოური დახმარება ევროკავშირში და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებში გაწევრიანების მიმართულებით. ევროკავშირში ახლად გაწევრიანებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შეფასებაზე მოთხოვნა გაიზრდება და აუცილებელი გახდება ქვეყანაში შეფასების სისტემის გაძლიერება, რაც ევროგაერთიანების მიერ დასმული ერთ-ერთი წინაპირობაა მისი ახალი წევრების მიმართ.

მზად არის თუ არა საქართველოს შეფასების სფერო გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად? არის თუ არა განვითარებული საქართველოში შეფასების კულტურა? ესმით თუ არა ქვეყანაში შეფასების მნიშვნელობა? არსებობს თუ არა საკმარისი ადამიანური რესურსები და სათანადო მეთოდოლოგიური მზადყოფნა? რესპონდენტთა პასუხებიდან ჩანს, რომ არა, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია ამ მხრივ გასაკეთებელი. რესპონდენტთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსები და მათი კვალიფიკაცია შეფასების სფეროში საკმარისია დღევანდელი მცირე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლადაც კი. მიუხედავად იმისა, რომ შეფასება კანონმდებლობით სავალდებულოა გამოკითხული სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის და ხორციელდება კიდეც (თუმცა ზოგიერთი რესპონდენტის აზრით ეს ფორმალურად ხდება), კადრების მომზადების სისტემა არ არსებობს არც ეროვნულ დონეზე და არც ცალკე აღებულ ორგანიზაციებში. ორგანიზაციებისათვის ძნელია შესაბამისი ადამიანური რესურსების მოძებნა, ხოლო მათი შემდგომი მომზადება ძირითადად მუშაობის პროცესში ხორციელდება, თანაც კადრების მიერ შეფასების მხოლოდ ვიწრო მიმართულების გაცნობას, რაც კონკრეტულ ორგანიზაციას ან პროექტს ესაჭიროება. თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის შეფასების საკითხებზე ნაკლებინტენსიურია, რის გამოც შეფასების საკითხებზე მომუშავე ადამიანებს არა აქვთ ცოდნისა და ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა. ხოლო ტრეინინგის კურსები და სხვა ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ხოლმე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, არარეგულარული ხასიათისაა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საჭიროა მუშაობა რამდენიმე მიმართულებით:

- სასურველია შეფასებისათვის ადამიანური რესურსების მომზადების სისტემის ჩამოყალიბება. ეს შეიძლება მოხერხდეს, ერთის მხრივ, მოკლევადიანი ტრენინგის კურსების წახალისებით და, მეორეს მხრივ, საუნივერსიტეტო პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების შეტანით. რესპონდენტთა დიდმა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა ის ტრენინგის კურსები, რომლებსაც ისინი ან მათი თანამშრომლები დასწრებიან. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მაღალი ხარისხის რეგულარულ ტრენინგის კურსებზე მოთხოვნა იქნება. რაც შეეხება საუნივერსიტეტო პროგრამებს, ამ მიმართულებით საჭირო იქნება თანამშრომლობის გაღრმავება განათლების სფეროსა და იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც შეფასების პროცესში მონაწილეობენ. თუმცა, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ასეთი თანამშრომლობა შედგეს გარე სტიმულირების გარეშე: ზოგადად, როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, თანამშრომლობა განათლების სფეროსა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს შორის გარედან წახალისებისა და შესაბამისი

პროგრამის არსებობის გარეშე ძნელი მისაღწევია.

- ასევე საჭიროა შეფასების საკითხებზე სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომლობის წახალისება, რაც შეიძლება დაიწყოს და განხორციელდეს დისკუსიების, სამუშაო შეხვედრების, სემინარებისა და სხვა ღონისძიებების მოწყობით. ასეთი ღონისძიებები დაეხმარება შეფასების საკითხებზე სხვადასხვა ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანებს, ერთმანეთისაგან მიიღონ მეტი ცოდნა და ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციური შემფასებლების მომზადებას და მათ მიერ მეთოდოლოგიური ცოდნის გაღრმავებას.
- სასურველია შეფასების ზოგადი სტანდარტების შემუშავება. ასეთი სტანდარტები არსებობს დასავლეთის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში და მათ, როგორც წესი შეფასების ასოციაციები ქმნიან ხოლმე. სტანდარტების მიზანია შეფასების პროცესის დახვეწა და შეფასების ხარისხის ამაღლება. სტანდარტები წარმოადგენს მოთხოვნებს შეფასების პროცესის, მისი დაგეგმვის, მომზადების, ჩატარების, შემფასებელთა ნეიტრალურობის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და სხვა ასპექტების მიმართ. ეს სტანდარტები უმეტესად არასავალდებულო ხასიათისაა ეროვნულ დონეზე, მაგრამ პრაქტიკაში მაინც ფართოდ გამოიყენება იმის გამო, რომ სათანადო ავტორიტეტით სარგებლობს შემფასებელთა წრეებში.

პრეზენტაციის ბოლოს, მომხსენებლებმა მათ მიმართ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს, გაიმართა საინტერესო დისკუსია და შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს კვლევის შედეგების შესახებ მოსაზრებები გაუზიარეს.

მისამართი: ბახტრიონის ქ. 16. 0194, თბილისი, საქართველო
ტელ: (99532) 366 191, 367 191 ფაქსი: (99532) 366 191
ელ.ფოსტა: gea@evaluation.org.ge
ვებ-გვერდი: www.evaluation.org.ge